



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

06 აგვისტო 2024



N 413/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### ქ. ფოთში, ხობის ქუჩა №7-ში შპს „ვესტ პეტროლის“ ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ვესტ პეტროლის“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. ფოთში, ხობის ქუჩა №7-ში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

აღსანიშნავია, რომ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ვესტ პეტროლის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და 2023 წლის 28 აპრილს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, კომპანიის მიმართ შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №076745 ოქმი, ხოლო 2024 წლის 12 იანვარს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 77-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №085255 ოქმი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 2022 წლიდან შპს „ვესტ პეტროლი“ ექსპლუატაციას უწევს ქ. ფოთში, ხობის ქუჩა №7-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 04.01.05.494; ჯამური ფართობი: 948 მ<sup>2</sup>) განთავსებულ ავტოგასამართ სადგურს, რომელსაც კომპანია ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. ნავთობპროდუქტების საცავის განთავსების GPS კოორდინატებია: X-720410, Y-4671557; X-720420, Y-4671559. უახლოესი საცხოვრებელი სახლი ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 30 მეტრით, ხოლო უშუალოდ ნავთობპროდუქტების საცავიდან – დაახლოებით 50 მეტრით. საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 410 მეტრში ფუნქციონირებს შპს „L ოილის“ ავტოგასამართი სადგური.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე არსებული ნავთობპროდუქტების საცავი წარმოდგენილია სამი ერთეული მიწისქვეშა და ორი ერთეული მიწისზედა რეზერვუარით, რომელთა საერთო მოცულობა შეადგენს 183,695 მ<sup>3</sup>-ს. მიწისქვეშა რეზერვუარებიდან ორი ერთეული (14 836 ლიტრი და 52 367 ლიტრი) განკუთვნილია ბენზინის საწვავისათვის, ხოლო ერთი (50 492 ლიტრი) – დიზელის საწვავისათვის, მიწისზედა რეზერვუარები (11 000 ლიტრი და 55 000 ლიტრი) კი გათვალისწინებულია სარეზერვოდ. რეზერვუარები დაფარულია ანტიკოროზიული ნივთიერებებით და აღჭურვილია სასუნთქი სარქველებით. ავტოცისტერნებიდან რეზერვუარებში საწვავის ჩასხმა ხორციელდება 20 მ<sup>3</sup>/სთ წარმადობის ტუმბოს საშუალებით, ხოლო ავტოტრანსპორტზე საწვავის გასაცემად გამოიყენება 2 მ<sup>3</sup>/სთ წარმადობის მქონე ტუმბო. რეზერვუარებზე მიერთებულია საწვავმარიგებელი სვეტები, რომლებიც აღჭურვილია ჩამოსასხმელი სამარჯვებით. რეზერვუარებიდან საწვავი, მილსადენების მეშვეობით, მიეწოდება საწვავმარიგებელ სვეტებს, საიდანაც ხდება ავტოტრანსპორტის საწვავით გამართვა. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ასევე მოწყობილია

ადმინისტრაციული შენობა, სახანძრო სტენდი და სველი წერტილი, ხოლო სანიაღვრე წყლების დაბინძურების პრევენციის მიზნით, სარეზერვუო მიწისზედა რეზერვუარებთან დამატებით დაგეგმილია ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტების შემაკავებელი ბეტონის შემოზვინვის, ხოლო საწვავმარიგებელ სვეტებთან – ნავთობპროდუქტების შემკრები არხებისა და ნავთობდამჭერი ჭის მოწყობა. ავტოგასამართი სადგური (პოტენციური დამაბინძურებელი უბანი) გადახურულია და დაფარულია ასფალტ-ბეტონის საფარით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ავტოგასამართი სადგური მუშაობს წელიწადში 365 დღე, 24 საათიანი სამუშაო გრაფიკით და უზრუნველყოფს 2 000 000 ლიტრი დიზელისა და 1 000 000 ლიტრი ბენზინის საწვავის რეალიზაციას. ობიექტზე საწვავის შეტანა ხორციელდება ავტოცისტერნების საშუალებით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე წყალი გამოიყენება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, რისთვისაც წყალაღება ხორციელდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. ობიექტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები დაერთებულია ქალაქის ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაზე. დოკუმენტის მიხედვით, ვინაიდან, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორია (პოტენციური დამაბინძურებელი უბანი) დაფარულია ბეტონის საფარით, საწვავმარიგებელი სვეტები განთავსებულია გადახურვის ქვეშ, ხოლო სარეზერვუო მიწისზედა რეზერვუარებთან დამატებით იგეგმება ავარიულად დაღვრილი ნავთობპროდუქტების შემაკავებელი ბეტონის შემოზვინვის, ნავთობპროდუქტების შემკრები არხებისა და ნავთობდამჭერი ჭის მოწყობა, სანიაღვრე წყლების ნავთობპროდუქტებით დაბინძურება მოსალოდნელი არ არის და ჩაშვებული იქნება ქალაქის სანიაღვრე ქსელში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე, ადგილი აქვს მავნე ნივთიერებების წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობა ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების მიღება-გაცემისას. აღსანიშნავია, რომ ნავთობპროდუქტების შესანახი ძირითადი რეზერვუარები განთავსებულია მიწის ქვეშ, რაც ამცირებს მათზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა.შ.) უარყოფითი ზემოქმედების რისკს, ასევე, ზღუდავს გაფრქვევათა შორ მანძილებზე გავრცელების საფრთხეს. შესაბამისად, გაფრქვევები ლოკალიზებული იქნება ობიექტის ტერიტორიაზე და იშვიათად გასცდება ავტოგასამართი სადგურის საზღვრებს. ზემოაღნიშნული გარემოებისა და ასევე ნავთობპროდუქტების საცავის მცირე მოცულობის გათვალისწინებით, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება დაკავშირებული იქნება საწვავის მიღება-გაცემის ოპერაციებთან, რაც ხორციელდება ორი ტუმბოს მეშვეობით. აღნიშნული ტუმბოების ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი ხმაურის დონე თითოეული მათგანისთვის არ აღემატება 55 დბა-ს. დოკუმენტში წარმოდგენილია ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების მოდელირება, რომელიც შესრულდა უარესი სცენარის პირობებში, დატვირთული საგზაო მოძრაობის გათვალისწინებით. მიღებული შედეგების მიხედვით, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენს 34 დბა-ს. შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია არ უკავშირდება ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია არასახიფათო და მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომელთა მართვა ხორციელდება „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. მუნიციპალური ნარჩენები გროვდება კონტეინერებში, რომელთა განტვირთვა ხორციელდება საჭიროებისამებრ, მუნიციპალური სამსახურის მიერ, ხოლო სახიფათო ნარჩენები, მათ შორის,

ნავთობდამჭერი ჭიდან ამოღებული შლამი შეგროვდება სეპარირებულად, სპეციალურ კასრებში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ნავთობპროდუქტების საცავი განთავსებულია ურბანულ გარემოში, არსებული ავტოგასამართი სადგურის ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ ტერიტორიაზე, სადაც ჩამოყალიბებულია ტიპური ტექნოგენური ლანდშაფტი.

სკრინინგის განცხადებაში განხილულია შპს „ვესტ პეტროლის“ ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება 410 მეტრში მდებარე შპს „L ოილის“ ავტოგასამართ სადგურთან ერთობლივად ფუნქციონირების პირობებში, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების კუთხით. დოკუმენტის თანახმად, შპს „ვესტ პეტროლის“ ნავთობპროდუქტების საცავის მცირე მოცულობის, საწვავის წლიური ტვირთბრუნვისა და შპს „L ოილის“ ავტოგასამართ სადგურამდე დაშორების მანძილის გათვალისწინებით, აღნიშნული ობიექტების ფუნქციონირება არ იქნება დაკავშირებული მნიშვნელოვან კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიხედვით, სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა, რომელიც ავტოგასამართი სადგურების შემთხვევაში, წარმოადგენს მხოლოდ საწვავის რეალიზაციასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ნაწილს.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკის, მახასიათებლებისა და არსებული ნავთობპროდუქტების საცავის მოცულობის გათვალისწინებით, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.5 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ფოთში, ხობის ქუჩა №7-ში, შპს „ვესტ პეტროლის“ ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ვესტ პეტროლი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ვესტ პეტროლს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ვესტ პეტროლის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/413-21-4-202408060927>

